კულტურათშორისი დიალოგი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში (13-20 ნოემბერი, 2016)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და რომუალდო დელ ბიანკოს ფონდს შორის 2014 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში იტალიის ქალაქ ფლორენციაში 13-20 ნოემბერს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მინისტრის აპარატის ორგანიზებით საერთაშორისო პროექტი ,,კულტურათაშორისი დიალოგი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში" განხორციელდა.

პროექტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის წევრის ადა მარშანიას, საქართველოს საელჩოს იტალიის რესპუბლიკაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, რომაულდო დელ ბიანკოს ფონდის, ორგანიზაცია „რონდინე"-ს, საქართველოს საპატრიარქოს, რობერტ კენედის ფონდის, ერნესტო ბალდუჩის ფონდის, აჭარის სკოლა „გორდა"-სა და სხვადახვა ქვეყნის უნივერსიტეტების მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტში რვა ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები, ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები თბილისის, სოხუმის და ბათუმის უნივერსიტეტებიდან.

აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა წარმოადგენს ევროკავშირთან სტრატეგიული თანამშრომლობის ამბიციურ პროექტს, რომლის პრიორიტეტული მიმართულებაა პარტნიორ ქვეყნებთან კულტურული თანაშრომლობისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება. ევროინტეგრაციის საერთო კონტექსტში ერთ-ერთი მნიშნელოვანი ადგილი უკავია კულტურულ დიალოგსა და თანამშრომლობას. აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის თემატური პლატფორმა - **,,ადამიანებს შორის კონტაქტები"** - ხელს უწყობს კულტურათა დაახლოებას, სხვადასხვა საზოგადოებას შორის ტოლერანტული განწყობის ჩამოყალიბებას და სოციალური სოლიდარობის განვითარებას. კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურათაშორისი დიალოგი წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს და ხაზს უსვამს კულტურის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობას პოლიტიკური პროცესების მართვასა და გამოწვევების დაძლევაში. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართული ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი კულტურული ტრადიციებითა და ღირებულებებით.

პროექტის მიზანი იყო საქართველოს აქტიური ჩართულობა ინტერკულტურულ დიალოგში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გამახვილება ქართულ-აფხაზური კულტურული ფასეულობების შენარჩუნების პროცესში, ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენა, სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობა.

აღნიშნული პროექტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, ჟენევის მოლაპარაკებებზე ფლორენციის პროექტი ყველაზე შედეგიან და წარმატებულ პროექტად იქნა აღიარებული.